



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 1147

თბილისი

„12“ 09 2019წ.

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 5 სექტემბრის N1144927 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი

**ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების  
წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურებსა და პირობებს.

**მუხლი 2. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია**

1. ამ წესით განსაზღვრულ პირობათა დაცვით წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით იქმნება კომისია/კომისიები (შემდგომში - კომისია).

2. კომისია შედგება განათლების სფეროში სათანადო კომპეტენციის მქონე პირებისაგან. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/პირების წარმომადგენლები, აგრეთვე, დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტები.

**მუხლი 3. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრთა კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმები**

1. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემთხვევაში), აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრების

კანდიდატთა შერჩევის პროცესში სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, შესაბამისი საბჭოს წევრობის მოწვეული კანდიდატების შერჩევისას სამინისტრო იყენებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია:

ა) სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა.ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დარგის/შესაბამისი საბჭოს სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი) და სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება;

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

ბ) დამსაქმებელთა კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ბ.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი) და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა.

გ) სტუდენტის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

გ. ა) სტუდენტის სტატუსის (აქტიური) ქონა;

გ. ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ. გ) სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა.

4. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

5. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭო უნდა დაკომპლექტდეს იმ პრინციპით, რომ მასში შემავალ წევრთა კომპეტენცია ფარავდეს განათლების მაქსიმალურად მეტ სფეროს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემთხვევაში, შესაბამისი საბჭოს საქმიანობის პერიოდში გეგმიურად შესაფასებელ მიმართულებებს.

**მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ დამსაქმებლის/მათი გაერთიანების, დარგობრივი გაერთიანების, სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული განათლების ექსპერტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია:

ა) დამსაქმებლის/მათი გაერთიანების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა.ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
  - ა.ბ) საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, ამასთან საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისათვის საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა.
  - ა.გ) ცოდნა ან გამოცდილება ადამიანური რესურსების მართვის/განვითარების საკითხებში.
  - ბ) დარგობრივი გაერთიანების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ბ.ა) პროფესიული განათლება ან/და უმაღლესი განათლება იმ სფეროებში, რომელშიც არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები;
  - ბ.ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება იმ მიმართულებით, რომელიც პროფესიული კვალიფიკაციებით დასაქმების სფეროს წარმოადგენენ.
  - გ) სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - გ.ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
  - გ.ბ) განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება.
  - დ) პროფესიული განათლების ექსპერტის სტატუსით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - დ.ა) უმაღლესი განათლება;
  - დ.ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
  - დ.დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.
  - ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ე.ა) პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლების არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
  - ე.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;
  - ე.გ) ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ უნდა იყოს დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ან დაწესებულების დამფუძნებელი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

#### მუხლი 5. კანდიდატების შერჩევის პროცესი

1. კანდიდატების შესარჩევად სამინისტროს დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით შესაბამის ინფორმაციას განათავსებს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge). სამინისტრო უფლებამოსილია, ინფორმაცია გაავრცელოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებითაც.
2. კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:
  - ა) კონკრეტული საბჭოს დასახელებას;
  - ბ) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობას;
  - გ) კონკრეტული საბჭოს წევრის ფუნქციების აღწერას;
  - დ) კონკრეტული საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადასა და წესს;
  - ე) კანდიდატის წარმდგენის (ინიციატორის) შესახებ წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალი (მაგ.: საგანმანათლებლო დაწესებულების, დამსაქმებლის, სამოქალაქო (არასამთავრობო) ან საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესახებ, გარდა თვითინიცირების შემთხვევისა);

ვ) კანდიდატთან დაკავშირებით წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს;

ზ) დამატებით ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში).

3. განაცხადების მიღება ცხადდება შესაბამისი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

4. განაცხადების მიღების ვადა შეადგენს არანაკლებ 10 სამუშაო დღეს.

5. მინისტრი შესაბამისი საბჭოს წევრების კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე.

#### მუხლი 6. კომისიის საქმიანობა

1. კომისია განიხილავს ამ წესის მიხედვით წარდგენილ კანდიდატებს და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იღებს გადაწყვეტილებას მინისტრისათვის შესაბამისი საბჭოს წევრთა კანდიდატების წარდგენის შესახებ.

2. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც იწვევს და უძღვება კომისიის სხდომას.

3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, ასრულებს დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით არჩეული კომისიის ერთ-ერთი წევრი.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

7. კომისიის წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში და დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელებისას.

8. კომისია საქმიანობისას და გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების/თვითააცილების მექანიზმებს. კანდიდატურათა შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული შემდგომში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოს ეფექტიანი საქმიანობა.

9. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისია მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას კონკრეტული კანდიდატების შესაბამის საბჭოს წევრად წარდგენის შესახებ.

10. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, მინისტრი შეარჩევს შესაბამისი საბჭოს წევრთა კანდიდატურებს, მათ შორის, საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატებს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მიხედვით ვერ განხორციელდა სათანადო რაოდენობის კანდიდატთა შერჩევა, მინისტრი უფლებამოსილია ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატებიც.





საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1271

თბილისი

„09“ 10 2019 წ.

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მიხედვით ვერ განხორციელდა სათანადო რაოდენობის კანდიდატთა შერჩევა, მინისტრი უფლებამოსილია ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატებიც.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი





საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1478

თბილისი

„19“ 11 2019 წ.

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 25 ოქტომბრის №1452410 და 18 ნოემბრის №1571945 წერილების, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 29 ოქტომბრის №1475390, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 31 ოქტომბრის №1488227, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის პირველი ნოემბრის №1493080 და 19 ნოემბრის №1579464 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი დასრულდეს მისი გამოცხადების დროს მოქმედი წესის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი



**ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი**

### **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურებსა და პირობებს.

**მუხლი 2. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია/კომისიები**

1. ამ წესით განსაზღვრულ პირობათა დაცვით წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით იქმნება კომისია/კომისიები (შემდგომში - კომისია).

2. კომისია შედგება განათლების სფეროში სათანადო კომპეტენციის მქონე პირებისაგან. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/პირების წარმომადგენლები, აგრეთვე დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტები.

**მუხლი 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმები**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია:

ა) სასწავლო/აკადემიური ან ადმინისტრაციული კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა.ა) არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;

ბ) დამსაქმებელთა კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ბ.ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა;



გ) განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კვოტით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) უმაღლესი განათლება;

გ.ბ) განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა შეირჩეს იმ პრინციპით, რომ მასში შემავალ წევრთა კომპეტენცია ფარავდეს განათლების მაქსიმალურად მეტ სფეროს.

**მუხლი 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრთა კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, შესაბამისი საბჭოს წევრობის მოწვეული კანდიდატების შერჩევისას სამინისტრო იყენებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია:

ა) სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა.ა) არანაკლებ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება;

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;

ბ) დამსაქმებელთა, ასევე განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ბ.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა;

გ) სტუდენტის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

გ.ა) არანაკლებ მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის (აქტიური) ქონა;

გ.ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ.გ) სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები,

მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატები უნდა შეირჩეს იმ პრინციპით, რომ მასში შემავალ წევრთა კომპეტენცია ფარავდეს განათლების მაქსიმალურად მეტ სფეროს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემთხვევაში, შესაბამისი საბჭოს საქმიანობის პერიოდში გეგმიურად შესაფასებელ მიმართულებებს.

**მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ დამსაქმებლის/მათი გაერთიანების, დარგობრივი გაერთიანების, სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული განათლების ექსპერტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია:

ა) დამსაქმებლის/მათი გაერთიანების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება;

ა.ბ) საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში, ამასთან საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისათვის საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

ბ) დარგობრივი გაერთიანების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) პროფესიული განათლება ან/და უმაღლესი განათლება;

ბ.ბ) შესაბამის დარგობრივ გაერთიანებაში ბოლო 1 წლის განმავლობაში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

გ) სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება;

გ.ბ) განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება;

დ) პროფესიული განათლების ექსპერტის სტატუსით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

დ.ა) უმაღლესი განათლება;

დ.ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ე.ა) პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლების არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ე.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;

ე.გ) ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ უნდა იყოს დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ან დაწესებულების დამფუძნებელი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

**მუხლი 6. სააპელაციო საბჭოს წევრთა კანდიდატურების შერჩევის წესი**

1. სააპელაციო საბჭო შედგება 9 წევრისაგან. სააპელაციო საბჭოს წევრობის 3 კანდიდატს შეარჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი



კომისია, 3 წევრს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია, ხოლო 3 წევრს ერთობლივად შეარჩევენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიები.

2. სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენელი, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

3. სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სუბიექტებიდან (მათი თანხმობის შემთხვევაში), და ეს კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ იმავე მუხლებით განსაზღვრულ, თითოეული საბჭოს კანდიდატისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს (გარდა მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა).

4. შესაბამისი კომისიის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანდიდატების შერჩევა ხდება იმ პრინციპის დაცვით, რომ შერჩეული კანდიდატები თანაბრად წარმოადგენდნენ ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ თითოეულ წარმდგენ სუბიექტს.

5. სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები, უნდა შეეძლოთ ნეიტრალურობის შენარჩუნება ნებისმიერ სიტუაციაში და საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

#### მუხლი 7. კანდიდატების შერჩევის პროცესი

1. კანდიდატების შესარჩევად სამინისტროს დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით შესაბამის ინფორმაციას განათავსებს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)). სამინისტრო უფლებამოსილია, ინფორმაცია გაავრცელოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებითაც.

2. კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) კონკრეტული საბჭოს დასახელებას;  
ბ) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობას;  
გ) კონკრეტული საბჭოს წევრის ფუნქციების აღწერას;  
დ) კონკრეტული საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადასა და წესს;  
ე) კანდიდატის წარმდგენის (ინიციატორის) შესახებ წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს (მაგ.: საგანმანათლებლო დაწესებულების, დამსაქმებლის, სამოქალაქო (არასამთავრობო) ან საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესახებ, გარდა თვითინიცირების შემთხვევისა);

ვ) კანდიდატთან დაკავშირებით წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს;

ზ) დამატებით ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში).

3. განაცხადების მიღება ცხადდება შესაბამისი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე.

4. სამინისტროსათვის წარდგენილ განაცხადში (ამ წესის დანართი N1 და დანართი N2) მიეთითება იმ საბჭოს დასახელება, რომლის წევრობის კანდიდატად წარდგენაც ხდება.

5. ამ წესით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ კანდიდატის წარდგინების შესახებ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს კანდიდატის წერილობითი თანხმობა შესაბამისი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის თაობაზე.

6. განაცხადების მიღების ვადა შეადგენს არანაკლებ 5 სამუშაო დღეს.

7. მინისტრი შესაბამისი საბჭოს წევრების კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.

## მუხლი 8. კომისიის საქმიანობა

1. კომისია განიხილავს ამ წესის მიხედვით წარდგენილ კანდიდატებს და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იღებს გადაწყვეტილებას მინისტრისათვის შესაბამისი საბჭოს წევრთა კანდიდატების წარდგენის შესახებ.
2. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც იწვევს და უძღვება კომისიის სხდომას.
3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, ასრულებს დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით არჩეული კომისიის ერთ-ერთი წევრი.
4. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
7. კომისიის წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში და დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელებისას.
8. კომისია საქმიანობისას და გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების/თვითააცილების მექანიზმებს. კანდიდატურათა შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული შემდგომში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოს ეფექტიანი საქმიანობა.
9. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისია მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას კონკრეტული კანდიდატების შესაბამისი საბჭოს წევრად წარდგენის შესახებ.
10. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, მინისტრი შეარჩევს შესაბამისი საბჭოს წევრთა კანდიდატურებს, მათ შორის, საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატებს.
11. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მიხედვით ვერ განხორციელდა სათანადო რაოდენობის კანდიდატთა შერჩევა, მინისტრი უფლებამოსილია ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით განსაზღვრული დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატებიც.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს

წარმდგენი: \_\_\_\_\_

(იურიდიული პირის სრული სახელწოდება)

საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონი: -----

გთხოვთ, განიხილოთ \_\_\_\_\_

(წარმდგენი იურიდიული პირის დასახელება სრულად)

(თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

დასაქმებული \_\_\_\_\_

(წარმდგენი პირის სახელი, გვარი (პირადი ნომერი ფრჩხილებში))

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით:

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
- ☐ სააპელაციო საბჭო:
  - ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
  - ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს/საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით
  - ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

შენიშვნა: გთხოვთ მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის წევრობის კანდიდატად წარედგინება პირი

დანართი: \_\_\_\_\_ გვ.

იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა/პოზიცია

სახელი, გვარი

ხელმოწერა -----



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს

განმცხადებელი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონი: -----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

(ორგანიზაციისა და თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით.

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
- ☐ სააპელაციო საბჭო:
  - ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
  - ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს/საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით
  - ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

შენიშვნა: გთხოვთ მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის წევრადაც გსურთ შერჩეულ იქნას თქვენი კანდიდატურა.

დანართი: \_\_\_\_\_ გვ.

ხელმოწერა:



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 1564

თბილისი

„ 29 “ 11 2019 წ.

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 28 ნოემბრის №1622648 მოხსენებით ბარათის გათვალისწინებით

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, პედაგოგიური პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პედაგოგიური ან ადმინისტრაციული პერსონალის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:



ა.ა) არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და პედაგოგიურ ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;“.

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენელი, განათლების მმართველობით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მმართველობით სათანადო ცოდნა.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



ირინე აბულაძე  
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 0 20 00331057



06/04/2020

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებით დამტკიცებულ "ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესში" ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 3 აპრილის N328210 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს N93 ბრძანებით დამტკიცებულ "ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესში" და წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულ წევრთა წარდგენის წესი


ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრი უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულ წევრთა ერთი და იგივე კანდიდატურები.“

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).



საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, which appears to read 'M. Chikhenkeli', is written over a horizontal line.



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 9 20 0001101982



17/11/2020

**„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 06 ნოემბრის N1076292 წერილის გათვალისწინებით,

### **გ ბ რ ძ ნ ა ნ ბ ე:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის“:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესით განსაზღვრულ პირობათა დაცვით წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის,

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის (შემდგომში - დირექტორი) ბრძანებით იქმნება კომისია/კომისიები (შემდგომში - კომისია).“.

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, შესაბამისი საბჭოს წევრობის მოწვეული კანდიდატების შერჩევისას ცენტრი იყენებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.“.

გ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააპელაციო საბჭო შედგება 9 წევრისგან. სააპელაციო საბჭოს წევრობის 3 კანდიდატს შეარჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია, 3 წევრს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია, ხოლო 3 წევრს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია/კომისიები.“.

დ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## **„მუხლი 7. კანდიდატების შერჩევის პროცესი**

1. კანდიდატების შესარჩევად ცენტრი დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით შესაბამის ინფორმაციას განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - [www.eqe.ge](http://www.eqe.ge). ცენტრი უფლებამოსილია, ინფორმაცია ასევე გაავრცელოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებითაც.

2. კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) კონკრეტული საბჭოს დასახელებას;

ბ) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობას;

გ) კონკრეტული საბჭოს წევრის ფუნქციების აღწერას;

დ) კონკრეტული საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადასა და წესს;

ე) კანდიდატის წარმდგენის (ინიციატორის) შესახებ წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს (მაგ.: საგანმანათლებლო დაწესებულების, დამსაქმებლის, სამოქალაქო (არასამთავრობო) ან საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესახებ, გარდა თვითინიცირების შემთხვევისა);

ვ) კანდიდატთან დაკავშირებით წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს;

ზ) დამატებით ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში).

3. განაცხადების მიღება ცხადდება შესაბამისი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე.

4. ცენტრისთვის წარდგენილ განაცხადში (ამ წესის დანართი №1 და დანართი №2) მიეთითება იმ საბჭოს დასახელება, რომლის წევრობის კანდიდატად წარდგენაც ხდება.



5. ამ წესით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ კანდიდატის წარდგინების შესახებ განაცხადს თან უნდა ერთოდეს კანდიდატის წერილობითი თანხმობა შესაბამისი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის თაობაზე.

6. განაცხადების მიღების ვადა შეადგენს არანაკლებ 5 სამუშაო დღეს.

7. ცენტრის დირექტორი შერჩეულ კანდიდატებს წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს (შემდგომში - მინისტრი), რომელიც კანდიდატურების განხილვის საფუძველზე, უფლებამოსილია საქართველოს პრემიერ-მინისტრს საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს წევრობის წარდგენილი კანდიდატურები.“.

ე) მე-8 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **„მუხლი 8. კომისიის საქმიანობა**

1. კომისია განიხილავს ამ წესის მიხედვით წარდგენილ კანდიდატებს და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იღებს გადაწყვეტილებას ცენტრის დირექტორისთვის კანდიდატების წარდგენის შესახებ.

2. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც იწვევს და უძღვება კომისიის სხდომას.

3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, ასრულებს დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით არჩეული კომისიის ერთ-ერთი წევრი.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

7. კომისიის წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში და დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელებისას.

8. კომისია საქმიანობისას და გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების/თვითაცილების მექანიზმებს. კანდიდატურათა შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული შემდგომში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოს ეფექტიანი საქმიანობა.

9. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისია ცენტრის დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას კონკრეტული კანდიდატების შესაბამის საბჭოს წევრად წარდგენის შესახებ.

10. ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე, მინისტრი შეარჩევს შესაბამისი საბჭოს წევრთა კანდიდატურებს, მათ შორის, საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საბჭოს მდივნის კანდიდატურებს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მიხედვით ვერ განხორციელდა სათანადო რაოდენობის კანდიდატთა შერჩევა, მინისტრი უფლებამოსილია ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით განსაზღვრული დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატებიც.“.


ვ) დანართი N1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

ზ) დანართი N2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი





საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 8 20 0001101981



17/11/2020

**„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N1564 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 13 აგვისტოს №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N1564 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი),

დამსაქმებელთა წარმომადგენელი, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

